



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000045095624319

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 48

04 / დეკემბერი / 2019 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ.ახმეტაში, ჩოლოყაშვილის ქ N50-ში მდებარე შენობის II-ე სართულზე 40.2კვ.მ ფართის ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრი“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ა.“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-6 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე, 55-ე მუხლების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, განახორციელოს პირდაპირი განკარგვის წესით, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ.ახმეტაში, ჩოლოყაშვილის ქ N50-ში მდებარე შენობის II-ე სართულზე 40.2კვ.მ ფართის (სამი ოთახი) ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრი“-სთვის ათი წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა. (საკადასტრო კოდი 50.04.42.017).
2. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. N41)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელექტრონულად



თამარ ყვინიშვილი